საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

დეკემბერი, 2020

მოკლე შეჯამება

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2020 წლის ნოემბერში, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა -7.7 პროცენტი
- წლიურმა ინფლაციამ დეკემბერში შეადგინა 2.4 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 4.9 პროცენტი
- ნოემბერში ექსპორტი შემცირდა წლიურად 13.4 პროცენტით
- ნოემბერში იმპორტი შემცირდა წლიურად 12.1 პროცენტით

ეკონომიკური ზრდა

2020 წლის ნოემბერში, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -7.7 პროცენტი, ხოლო 2020 წლის პირველი 11 თვის საშუალო რეალურმა ზრდამ შეადგინა -5.9 პროცენტი. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. 2020 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კლება შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ხელოვნება, გართობა და დასვენება, განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი. ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ასევე წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის სფეროებში.

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა



წყარო: საქსტატი

ფასების დონე

2020 წლის დეკემბრის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 2.4 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც მიზნობრივ ინფლაციაზე მაღალია. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) კი შესაბამის პერიოდში 4.9 პროცენტზე დაფიქსირდა.

დიაგრამა 2: წლიური ინფლაცია, 2020 დეკემბერი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ ჯანმრთელობის დაცვა (+9.6), ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლაზე (+9.5), ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+8.6 პროცენტი), პროცენტი), სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+6.8 პროცენტი). ხოლო წლიური კლება დაფიქსირდა საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი (-21.7) და დასვენება, გართობა და კულტურა (-2.8) კატეგორიებში.

ამავე დროს, 2020 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციამ შეადგინა -1 პროცენტი. მნიშვნელოვნად შემცირდა ფასები საცხოვრებლის, წყლის, ელ.ენერგიის, აირის (-22 პროცენტი) კატეგორიაში.

დიაგრამა 3: ინფლაციის დეკომპოზიცია, 2020 დეკემბერი



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 4: ადგილობრივი ექსპორტის და იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 5: ექსპორტის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 6: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი

საგარეო ვაჭრობა

2020 წლის ნოემბერში ექსპორტი წლიურად შემცირდა 13.4 პროცენტით (ხოლო ადგილობრივი ექსპორტი გაიზარდა 3.2 პროცენტით) და გაუტოლდა 301.1 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი შემცირდა 12.1 პროცენტით და გაუტოლდა 718.9 მლნ აშშ დოლარს, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 11.3 პროცენტით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 417.8 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელების შედეგად საშინაო და საგარეო მოთხოვნის შემცირებით და რეგიონში ეკონომიკური აქტივობის შეჩერებით. 2020 წლის ნოემბერში ადგილობრივი ექსპორტის რეალურმა ზრდამ 2.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმპორტის რეალურმა ზრდამ -8.7 პროცენტი. რეექსპორტის წილმა შეადგინა 25.1 პროცენტი, ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 36.5 პროცენტი. 2020 წლის ნოემბერში, საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტი შემცირდა 5.6, 5 და 0.6 პროცენტით შესაბამისად (წილი მთლიან ზრდაში).

2020 წლის ნოემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 58.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 19.5 პროცენტი), მეორე ადგილზე - ფეროშენადნობები 33.3 მლნ აშშ დოლარით (11.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 29.3 მლნ. აშშ დოლარით (9.7 პროცენტი). 2020 წლის ნოემბერში სპილენძის მადნების და კონცენტრატების ჯფუფი იყო უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი, რომლის იმპორტმა 43.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 6.1 პროცენტი შეადგინა. ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებდნენ ნავთობი და ნავთობპროდუქტები 38.6 მლნ აშშ დოლარით (5.4 პროცენტი) და მსუბუქი ავტომობილები 36.3 მლნ აშშ დოლარით (5 პროცენტი).

2020 წლის ნოემბერში უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორს წარმოადგენენ რუსეთი (45.4 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 15.1 პროცენტი), აზერბაიჯანი (35 მლნ. აშშ დოლარი, 11.6) და ბულგარეთი (27.1 მლნ. აშშ დოლარი, 9). ხოლო უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები არიან: თურქეთი (126.3 მლნ. აშშ დოლარი, 17.6), რუსეთი (79.2 მლნ. აშშ დოლარი, 11) და ჩინეთი (73.4 მლნ. აშშ დოლარი, 10.2).

ტურიზმი

2020 წლის ნოემბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 93.6 პროცენტით შემცირდა და 12.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელების გამო საზღვრების ჩაკეტვით და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტით საქართველოს ტერიტორიაზე მარტის მეორე ნახევრიდან. 2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შედარებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწესებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებთ. თუმცა, ამავე დროს სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.

დიაგრამა 7: შემოსავალი ტურიზმდიან, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2020 წლის ნოემბერში წმინდა ფულადი გზავნილები 148.1 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 15 პროცენტიან წლიურ ზრდას. გზავნილები გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან, სადაც მოხდა არსებული შეზღუდვების ნაწილობრივი შერბილება და ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება. გზავნილები გაიზარდა იტალიიდან 28 პროცენტით (4.2 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), აშშ-დან 38.5 პროცენტით (4.2 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), გერმანიიდან 68.3 პროცენტით (2.2 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში). ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა გზავნილები უკრაინიდან და ესპანეთიდან. ამავე დროს, წმინდა გზავნილებში კლება დაფიქსირდა რუსეთიდან -19.5 პროცენტი (-4.7 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).

დიაგრამა 8: წმინდა ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი

31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 7.5 პროცენტით არის გაუფასურებული, ხოლო 2019 წლის 1 იანვართან შედარებით კი 13.7 პროცენტით. ამავე დროს, ნოემბრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 9.7 პროცენტით არის გაუფასურებული წინა წლის იანვართან შედარებით და 4.6 პროცენტით 2020 წლის იანვართან შედარებით.

დიაგრამა 9: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 10: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსების ცვლილება

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკ 2020 - 1 იან 2020	31 დეკ 2020 - 1 იან 2019
ევრო	4.0233	-20.1%	-24.0%
აშშ დოლარი	3.2766	-12.5%	-18.4%
თურქული ლირა	0.4462	8.0%	13.3%
რუსული რუბლი	0.0440	4.7%	-12.8%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	110.25	-7.5%	-13.7%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ნოემბერი, 2020)	108.06	-4.6%	-9.7%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2020 წლის გადასახადების იანვარ-დეკემბრის საპროგნოზო მაჩვენებელი 10,510 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის იანვარ-დეკემბრის ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 4.3 პროცენტით მეტია, და შეადგენს 10,964.4 მლნ ლარს.

რაც შეეხება 2020 წლის დეკემბერს, გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 1.024 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის დეკემბერს, ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 7.1 პროცენტით ნაკლებია, და შეადგენს 952 მლნ ლარს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 341.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (320.9 მლნ ლარი) 106.4 პროცენტია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 62.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68.1 მლნ ლარი) 92.1 პროცენტია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 440.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (489 მლნ ლარი) 90 პროცენტია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 210.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (143.8 მლნ ლარი) 146.4 პროცენტია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 6.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 მლნ ლარი) 108.5 პროცენტია.

2020 წლის ნოემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 2.8 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 19.8 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 39 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -263.7 მლნ ლარით. ჯამში, გადასახდებიდან მიღებული შემოსავალი წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საშემოსავლო გადასახადიდან და დღგ-დან მიღებულმა შემოსავლებმა.

დიაგრამა 11: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 12: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი

2020 წლის დეკემბერში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური გამოშვებით 226.7 მლნ ლარი. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.161 პროცენტი შეადგინა.

გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 110 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ მცირე ცვლილება განიცადა. პორტფელის შემოსავლიანობა უმნიშვნელოდ შეიცვალა. პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ჯამური საშუალო შეწონილი ვადიანობა (ATM) გაიზარდა წინა თვესთან შედარებით.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 27.9 პროცენტი ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ნოემბერი 1.79) შედარებით გაიზარდა და 2.28 შეადგინა.

დიაგრამა 13: პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 14: საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 15: ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 16: პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

კერძო სექტორის დოლარიზაცია

სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. მთლიანი სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციით. 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 58.6 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ - 28 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ლარიზაციამ კი 43.5 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური, ასევე - სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 87.5 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 33.1 პროცენტს.

დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 37.3 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 52.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია - 23.2 პროცენტს.

მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2020 წლის დეკემბრის დასაწყისისთვის გაუტოლდა 39.8 პროცენტს. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 30.7 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზირების ლარიზაცია - 39.6 პროცენტი.

დიაგრამა 17: სესხების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 18: დეპოზიტების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიური ზრდა 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით 2019 წელთან შედარებით 11.9 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა კი წინა თვესთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 12.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 11.4 პროცენტს შეადგენს.

2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.8 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით შემცირდა და გაუტოლდა 8.4 პროცენტს გაუტოლდა.

2020 წლის დეკემბრისთვის იპოთეკური სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.5 პროცენტი შეადგინა.

დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2020 წლის დეკემბერში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18 პროცენტს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა 33 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიდოთან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 11 პროცენტი.

2020 წლის დეკემბერში ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 10 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 29 პროცენტს.

დიაგრამა 19: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 20: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 9 დეკემბერს რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.0 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ბანკის მიხედვით, წლიური ინფლაციის შემცირების ტენდენცია გაგრძელდება და ის 2021 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივ დონესთან ახლოს იმოძრავებს. ინფლაციის შემცირების დინამიკას სუსტი ერთობლივი მოთხოვნა განაპირობებს და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული გავლენა მომავალ პერიოდებშიც შენარჩუნდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ასევე გაითვალისწინა მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორები, როგორიცაა პანდემიის ფონზე დამატებითი შეზღუდვებით გამოწვეული წარმოების ხარჯების ზრდა. ეროვნული ბანკის მიხედვით, ეკონომიკის ჯერ კიდევ მაღალი დოლარიზაციის გამო მონეტარული პოლიტიკის შერბილების შესაძლებლობა ლიმიტირებულია. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 3 თებერვალს ჩატარდება.

დიაგრამა 21: დეპოზიტების წლიური ზრდა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 22: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები

2020 წლის დეკემბრისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.2 პროცენტს უტოლდება.

2020 წლის დეკემბერში იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.4 პროცენტს. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაუტოლდა 2.8 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.4 პროცენტს.

2020 წლის დეკემბერში საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 22.1 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.2 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის დეკემბერში 17 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 18.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 8 პროცენტს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის ნოემბრის ბოლოს 12.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.8 პროცენტი შეადგენა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 23: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 24: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.